საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი იანვარი 2024 / გამოცემა #73

წილი ნაყარია: სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკური ცვლილების პირას?

შოთა კაკაბაძე[1]

2024 წლის 1 იანვრიდან მთიანმა ყარაბაღმა არსებობა ოფიციალურად შეწყვიტა და აზერბაიჯანის ნაწილი გახდა. ეს დრამატული მოვლენა ამ რეგიონში ოცდაათწლიანი სტატუს-კვოს დასასრულს აღნიშნავს და რეგიონში დიდ გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე მიანიშნებს. უკრაინაში რუსეთის შეჭრამ, რომელიც გამოფიტვაზე ომში გადაიზარდა, შესაძლებლობა მისცა აზერბაიჯანს, ესარგებლა მომენტით და სომხეთთან ტერიტორიული დავა სამხედრო გზით გადაეჭრა, რათა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოეპოვებინა და კონფლიქტის მომავალი მოგვარება მისი პირობებით მომხდარიყო. ვინაიდან ერევანსა და ბაქოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დეტალები ჯერ კიდევ შესათანხმებელია, უცნობია, ამ მოვლენის საბოლოო შედეგები როგორი იქნება. თუმცა გარკვეული ნიშნები, თუ რა ფორმას მიიღებს რეგიონის მომავალი, უკვე ჩანს. აზერბაიჯანმა და თურქეთმა წარმატებით მოიპოვეს კონტროლი რეგიონის გეოპოლიტიკაზე ისე, რომ მესამე მხარისგან „სამშვიდობო გეგმების“ შემოთავაზება თითქმის შეუძლებელი გახადეს (Hedlund 2023). ეს ძირეული ცვლილება სომხეთს სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს, რადგან ოფიციალურ ერევანს მოუწევს, გადახედოს თავის პრიორიტეტებს უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის სფეროებში, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად უკავშირდებოდა უსაფრთხოების გარანტიებს რუსეთის მხრიდან. სომხეთისთვის ეს შესაძლოა ნიშნავდეს ურთიერთობების გაუმჯობესებას თურქეთსა და აზერბაიჯანთან, რაც რეგიონის უსაფრთხოების პოტენციურ მომავალ დინამიკაზე მიანიშნებს. შესაბამისად,

[1] პოლიტიკის ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

წინამდებარე პოლიტიკის მემორანდუმში გაანალიზებულია რამდენიმე საკვანძო მომენტი, რამაც ბაქოს სწრაფი წარმატება გახადა შესაძლებელი, ასევე, განხილულია, რა პოტენციური შედეგები შეიძლება მოუტანოს ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალიებმა რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურას.

სამხრეთ კავკასია უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ

უსაფრთხოების არქიტექტურამ, რომელიც 2020 წელს მთიანი ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ შეიქმნა, ბევრი პრობლემა და უთანხმოება მოუგვარებელი დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ 44-დღიანი ომის დასასრულებლად ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აზერბაიჯანმა ტერიტორიის ნაწილი დაიბრუნა და სომხეთზე მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა, ბაქოს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ეიძულებინა ერევანი, უარი ეთქვა ყარაბაღზე, დაედგინა საზღვარი და გაეხსნა ზანგეზურის დერეფანი[2] (De Waal 2022). ამ საკითხებმა ნიადაგი მოამზადა შემდგომი ესკალაციისთვის, რომელმაც 2022 წლის თებერვლის შემდეგ იჩინა თავი. უკრაინაში რუსეთის შეჭრამ რეგიონში რყევები გამოიწვია და ათწლეულობით მოუგვარებელი ტერიტორიული დავების პანდორას ყუთს თავი ახადა. უკვე 2023 წლის ზაფხულში სომხეთის ხელისუფლება ხმამაღლა საუბრობდა მთიან ყარაბაღში მოსალოდნელი კიდევ ერთი ომის შესახებ (RFE/RL 2023), მაგრამ ბაქოს სამხედრო ოპერაცია ბევრისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, რომელიც პირადად იყო ჩართული მხარეებს შორის მედიაციის პროცესში, მას „შოკისმომგვრელი“ უწოდა, რადგან მოლაპარაკება ჯერ ისევ მიმდინარეობდა (Lory 2023). მოვლენების ასეთი განვითარება შესაძლებელი რამდენიმე ფაქტორმა გახადა, რომლებმაც იმოქმედა აზერბაიჯანის გადაწყვეტილებაზე, არჩევანი პრობლემის სამხედრო გზით მოგვარებაზე გაეკეთებინა.

რუსეთის გაჭიანურებული და ჩიხში შესული სამხედრო კამპანია უკრაინაში

მაშინ, როდესაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა უკრაინაში მიმდინარე ომზე იყო ფოკუსირებული, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2022 წლის სექტემბერში „ორდღიანი ომის“ სახელით ცნობილი შეტაკება მოხდა, რომელსაც ორივე მხრიდან თითქმის 300 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (News Wire 2022). თუმცა 2022 წლის შეტაკებებს წინა

[2] სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც გაივლის სომხეთის ტერიტორიაზე და აზერბაიჯანს ნახიჩევანის ანკლავთან დააკავშირებს.

ინციდენტებისგან ის გამოარჩევდა, რომ ბრძოლა არა მთიან ყარაბაღში, არამედ სომხეთის ტერიტორიაზე გაიმართა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი და ერევანთან ორმხრივი თავდაცვის შეთანხმების ხელმომწერი მხარე, ვალდებული იყო, სომხეთისთვის დახმარება გაეწია (De Waal 2022). ეს მას უნდა გაეკეთებინა განსაკუთრებით იმ მყარად ჩამოყალიბებული ვარაუდის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მთავარი მიზანი სამხრეთ კავკასიაში სტატუს-კვოს შენარჩუნება იყო, რის მიღწევაც მას სომხეთისთვის იარაღის ექსპორტის გაზრდის ან დიპლომატიური საშუალებებით უფრო აქტიური ჩარევის გზით შეეძლო (Atasuntsev 2023). ეს ერთ-ერთი პირველი სერიოზული ნიშანი იყო, რომ უკრაინაში მიმდინარე გამოფიტვის ომს რუსეთის იმდენი რესურსი და ყურადღება მიაქვს, რომ მან კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი სომხეთი აზერბაიჯანის პირისპირ დასამარცხებლად მიატოვა და მეტიც, ნება დართო თურქეთს, სამხრეთ კავკასიაში უფრო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა.

ურთიერთობის გაუარესება სომხეთის მოქმედ ხელისუფლებასა და კრემლს შორის

აზერბაიჯანის შეტევამ და რუსეთის უუნარობამ, დაეცვა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი, სერიოზული ბზარი გააჩინა სომხეთის მოქმედ ხელისუფლებასა და კრემლს შორის. ამ ორს შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ პირველად, 2023 წლის სექტემბერში, ერევანმა ჰუმანიტარული დახმარება გააგზავნა უკრაინაში. კრემლის პოლიტიკით იმედგაცრუების კიდევ უფრო მკაფიოდ გამოსახატად, პრემიერ-მინისტრ ფაშინიანის ცოლი უკრაინაში გაემგზავრა „პირველი ლედების სამიტში“ მონაწილეობის მისაღებად და უკრაინის პრეზიდენტსაც კი შეხვდა (JAMnews 2023); ასევე, სომხეთის ტერიტორიაზე ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად. თუმცა რუსეთისთვის ყველაზე მძიმე სილის გაწნა ერევნის გადაწყვეტილება იყო, 2023 წლის ოქტომბერში მოეხდინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების რატიფიცირება. მართალია, ამ იდეას სომხეთი 2022 წლის სექტემბრის შეტაკებების შემდეგ განიხილავდა, რათა ის აზერბაიჯანის წინააღმდეგ ბერკეტად გამოეყენებინა, მაგრამ მაშინ მისი რეალიზება გადადო, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ პუტინის დაპატიმრების ორდერის გაცემის გამო (Atasuntesv 2023). ამრიგად, ოქტომბერში ჩატარებული რატიფიცირება აშკარა გამოწვევა და პასუხი იყო რუსეთის

უმოქმედობაზე, დაეცვა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი.

აზერბაიჯანის გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა ევროკავშირისთვის

კიდევ ერთი სერიოზული ფაქტორი, რამაც აზერბაიჯანის სწრაფი გამარჯვება მისთვის რაიმე სერიოზული უარყოფითი საერთაშორისო შედეგების გარეშე გახადა შესაძლებელი, ევროკავშირისთვის არსებულ კრიზისულ სიტუაციაში ბაქოს მნიშვნელობაა. კერძოდ, ვინაიდან ევროკავშირს მიზნად აქვს დასახული, თავი დააღწიოს რუსეთის ბუნებრივ აირზე დამოკიდებულებას, აზერბაიჯანი შეუცვლელი პარტნიორი ჩანს. ეს ბრიუსელს თავისებურ მდგომარეობაში აყენებს, რადგან ის დილემის წინაშე დგება - ბუნებრივი აირი თუ მორალური სიწმინდე (Sabadus 2023). ევროკავშირმა, რომელსაც 2027 წლისთვის აზერბაიჯანული გაზის იმპორტის გაორმაგება აქვს დაგეგმილი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მკაცრი პოზიცია დაიკავოს ბაქოს ქმედებების მიმართ და ევროპარლამენტის რეზოლუციაში გამოხატულ პოზიციას გასცდეს. [3] თუმცა ბევრი რამ იმაზეც არის დამოკიდებული, გაჩერდება პრეზიდენტი ალიევი, თუ უფრო შორს წასვლას მოინდომებს. ზანგეზურის დერეფნის შეიარაღებული ძალით გახსნა სამხედრო ოპერაციას გულისხმობს უშუალოდ სომხეთის ტერიტორიაზე, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო მკაცრ რეაქციას გამოიწვევს და მნიშვნელოვნად გაზრდის დასავლეთის მორალურ ტვირთს.

რა ელის სამხრეთ კავკასიას მომავალში?

2023 წელს აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის დაპყრობამ გამოავლინა რუსეთის როგორც უსაფრთხოების გარანტორის არასაიმედოობა და მისი უუნარობა თუ მოუმზადებლობა, რეგიონში დამაბალანსებლის როლი შეასრულოს. არსებული სტატუს-კვოს ეს გამოწვევა რეგიონში სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებების მომასწავებელია. მართალია, ზოგი ცვლილების კონტურები ჰორიზონტზე უკვე გამოიკვეთა, კონკრეტული შედეგები რამდენიმე ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.

პირველი ფაქტორია, შეძლებენ თუ არა სომხეთი და აზერბაიჯანი სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერას, საზღვრების დემარკაციასა და აღიარებას. მიუხედავად

[3] 2023 წლის 5 ოქტომბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის დაპყრობას და მოითხოვს სანქციების დაწესებას პასუხისმგებელი პირების მიმართ. რეზოლუცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20230929IPR06132/nagorno-karabakh-meps-demand-review-of-eu-relations-with-azerbaijan

სომხეთის განცხადებისა, რომ აპირებს, ხელი მოაწეროს ასეთ ხელშეკრულებას ბაქოსთან და განაახლოს საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა ორ მეზობელ ქვეყანას შორის, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იყო დაბლოკილი (Politico 2023), ბევრი საკითხია, რომლებიც ჯერ კიდევ მოსაგვარებელია, მათ შორის ზანგეზურის დერეფანი, საზღვრის დემარკაცია ანდა ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. უკვე არსებობს მინიშნებები, რომ ბაქოს პირობები სამშვიდობო შეთანხმებისთვის მოიცავს მოთხოვნას, გაიხსნას ზანგეზურის დერეფანი რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობის საკონტროლო-გამშვები პუნქტებითა და მინიმალური კონტროლით სომხეთის მხრიდან, ასევე, მოთხოვნას, შეტანილი იქნეს ცვლილება სომხეთის კონსტიტუციაში, რომლითაც ოფიციალურად იქნება უარყოფილი მთიან ყარაბაღზე რაიმე პრეტენზია მომავალში (Migineishvili 2024).

მეორე ფაქტორი, რომელზეც რეგიონის მომავალია დამოკიდებული, არის ის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ომი უკრაინაში და როგორი იქნება რუსეთის დამარცხება. თუ კრემლი მოახერხებს ცეცხლის შეწყვეტის ან სტრატეგიული პაუზის მიღწევას უკრაინაში, პრეზიდენტი პუტინი შესაძლოა უფრო აქტიურად ჩაერიოს სომხეთის საშინაო საქმეებში ჰიბრიდული მეთოდების გამოყენებით და სცადოს ფაშინიანის მთავრობის შერყევა. თუ ომი გაჭიანურდა, ეს გაზრდის ერევანზე ზეწოლას, უფრო მეტად შემობრუნდეს დასავლეთისკენ და ასევე, ბაქოსა და ანკარასთან ურთიერთობების ნორმალიზებისკენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში რუსეთის გაჭიანურებული სამხედრო კამპანია შესაძლებლობას აძლევს ევროკავშირს, გააძლიეროს ურთიერთობები რეგიონთან (Urciuolo 2022). გრძელვადიან პერსპექტივაში ეს შესაძლოა გულისხმობდეს უსაფრთხოების ახალ დინამიკას რეგიონში, რაც რუსეთის, როგორც დამაბალანსებლის, როლს ამცირებს და შესაძლებლობას აძლევს თურქეთს, გააძლიეროს მისი გავლენა რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით.

საინტერესოა, რომ საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანას და ყველაზე პროევროპულ პოლიტიკურ აქტორს რეგიონში, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სომხეთის საგარეო პოლიტიკის მომავალი ტრაექტორიის განსაზღვრაში. ამ ორ ქვეყანას შორის წლის დასაწყისში ხელმოწერილი ხელშეკრულება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეიძლება ამ ტენდენციის ადრეული ნიშანი იყოს. თუ ერევანი კიდევ უფრო დაშორდება რუსეთის გავლენის სფეროს, ფაშინიანის ხელისუფლებისთვის მომდევნო წლებში უმნიშვნელოვანესი იქნება საქართველოს გამოცდილება, შავ ზღვაზე გასასვლელი და სხვა სატრანსპორტო დერეფნები.

ასევე, მთიანი ყარაბაღის შემთხვევა მნიშვნელოვან პრეცედენტს ქმნის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისთვის. მართალია, ამ ორი ტერიტორიისგან განსხვავებით, რუსეთს არასდროს

ულიარებია მთიანი ყარაბაღი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაგრამ რუსეთის უუნარობას, დაიცვას მოკავშირეები და შეასრულოს თავისი ვალდებულებები უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, შეშფოთება უნდა გამოეწვია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. თბილისი ამ ტერიტორიების მშვიდობიანი გზით რეინტეგრაციის ვალდებულების ერთგული რჩება, მაგრამ რაც უფრო მეტად ეფლობა რუსეთი უკრაინის ომში, მისი მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფინანსური და ეკონომიკური დახმარების კლება გაგრძელდება (Komakhia 2023). ეს აიძულებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს, თბილისთან ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები და არხები ეძიონ.

დასკვნა

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ევროკავშირისთვის დრამატულად გაიზარდა. შესაბამისად, ბრიუსელმა აქტიური ურთიერთობა დაიწყო ბაქოსა და ერევანთან მთიანი ყარაბაღის საკითხზე ხანგრძლივი ტერიტორიული დავის გადაწყვეტისა და ნორმალიზების გზების ძიებაზე. თუმცა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ისარგებლა რუსეთის უხეში შეცდომით უკრაინაში, ასევე, ერევანსა და მოსკოვს შორის უთანხმოებით, რათა ძალის გამოყენებით წარმატებით დაებრუნებინა დე ფაქტო სახელმწიფო. ეს მოვლენები, რომლებიც ბევრისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა, გავლენას მოახდენს რეგიონის მომავალზე. შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა შეიქმნას, რომელშიც დომინანტი თურქეთი იქნება და რომელიც აიძულებს სომხეთს, გადახედოს საკუთარ პოლიტიკას, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში ატარებს, და მას დასავლეთთან დაახლოებისკენ უბიძგოს. უკვე არსებობს ნიშნები, რომ ერევანი რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე დამოკიდებულების თანდათან შემცირების და ნატო-სთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობას განიხილავს.

მთიანი ყარაბაღის შემთხვევა, გარდა ზემოთ განხილული გეოპოლიტიკური ცვლილებისა, პრეცედენტს ქმნის ორი დე ფაქტო სახელმწიფოსთვის რეგიონში. რუსეთის სრული უუნარობა, დაეცვა თავისი მოკავშირე, კითხვებს უჩენს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს იმის თაობაზე, თუ რამდენად უერთგულებს კრემლი თავის ვალდებულებებს ამ ტერიტორიული წარმონაქმნების მიმართ. ოკუპირებული ტერიტორიების წინაშე არსებულ ამ გამოწვევებს გააღრმავებს კრემლის მხრიდან

ეკონომიკური დახმარების პოტენციური მკვეთრი კლება, რამაც შესაძლოა ისინი აიძულოს, თბილისთან დაახლოების გზები ეძიონ. თუმცა ის, თუ რა სახეს მიიღებს უსაფრთხოების რეგიონული არქიტექტურა სამხრეთ კავკასიაში, დიდწილად იქნება დამოკიდებული უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგზე. იმ შემთხვევაში, თუ დაუძლურების ომი გაგრძელდება, მეტია ალბათობა, რომ საქართველოსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის დაახლოება მოხდეს, ხოლო კონფლიქტის გაყინვა ანდა რუსეთის სტრატეგიული გამარჯვება სამხრეთ კავკასიისთვის მეტ არასტაბილურობას და მოწყვლადობას ნიშნავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Atasuntsev, Alexander. 2023. Long-Standing Ties Between Armenia and Russia Are Fraying Fast. Carnegie. ხელმისაწვდომია: https://carnegieendowment.org/politika/90768 ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

De Waal, Thomas. 2022. More Storm Clouds Gather Over Armenia, Azerbaijan. Carnegie Europe. ხელმისაწვდომია: More Storm Clouds Gather Over Armenia, Azerbaijan - Carnegie Europe - Carnegie Endowment for International Peace ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Gegelia, Grigol. 2021. Georgia After Karabakh: New Realities Demand New Answers. Policy Brief N. 32, Georgian Institute of Politics, May 2021. ხელმისაწვდომია: https://gip.ge ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Hedlund, Stefan. 2023. New masters in the South Caucasus. GIS Report. ხელმისაწვდომია: https://www.gisreportsonline.com/r/new-masters-in-the-south-caucasus/?fbclid=IwAR1w6qbkQi6VJHp9U3oqzJH73OSucQ5xQfm5OGt0GwCAo3MnBIGEYUzjamo ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

JAMnews. 2023. Pashinyan's wife's visit to Ukraine: who she met and what she discussed. ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/visit-of-pashinyans-wife-to-ukraine/ ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Komakhia, Mamuka. 2023. Occupied Abkhazia and the Tskhinvali Region: Trade “Legalization” and Prospects of the Russian Transit Corridor. Rondeli Blog. Georgian Foundation for Strategic and International Studies. ხელმისაწვდომია: https://gfsis.org.ge/blog/view/1596 ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Lory, Gregoire. 2023. EU-Azerbaijan relations: 'There are real difficulties,' admits EU Council President Charles Michel. Euronews. ხელმისაწვდომია: https://www.euronews.com/2023/10/03/eu-azerbaijan-relations-there-are-real-difficulties-admits-eu-council-president-charles-mi ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Migineishvili, Tinatin. 2024. ილჰამ ალიევი აცხადებს, რომ მშვიდობა შესაძლებელია, თუ სომხეთის მხრიდან აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისადმი პრეტენზიები დასრულდება და სომხეთის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები შევა. 1TV.ge. ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/ilham-alievi-ackhadebs-rom-mshvidoba-shesadzlebelia-tu-somkhetis-mkhridan-azerbaijanis-teritoriuli-mtlianobisadmi-pretenziebi-dasruldeba-da-somkhetis-konstituciashi-shesabamisi-cvlilebebi-sheva/ ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

News Wire. 2022. Ceasefire holds on Armenia-Azerbaijan border following deadly clashes. France 24. ხელმისაწვდომია: Ceasefire holds on Armenia-Azerbaijan border following deadly clashes (france24.com) ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Sabadus, Aura. 2023. The EU’s Dilemma with Azerbaijan — Natural Gas or Moral Purity. CEPA. ხელმისაწვდომია: https://cepa.org/article/the-eus-dilemma-with-azerbaijan-natural-gas-or-moral-purity/ ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Samkharadze, Nino. 2022. 3+3 Minus One: Georgia’s South Caucasian Challenges and Prospects, Policy Brief No. 37, Georgian Institute of Politics, January 2022. ხელმისაწვდომია: https://gip.ge ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Politico. 2023. Armenia on verge of signing peace deal with Azerbaijan, PM says – Politico. ხელმისაწვდომია: https://www.politico.eu/article/armenia-peace-deal-with-azerbaijan-nikol-pashinyan/ ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

RFE/RL's Armenian Service. 2023. Armenian PM Says Another War with Azerbaijan 'Likely' Unless Peace Treaty Is Signed. ხელმისაწვდომია: https://www.rferl.org/a/armenia-pm-war-azerbaijan-likely-peace-treaty/32513815.html ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024;

Urciuolo, Luca. 2022. Moscow's involvement in Ukraine allows the European Union to accredit itself as a mediator between Armenia and Azerbaijan. SpecialEurasia. GEOPOLITICAL REPORT.

ხელმისაწვდომია: https://www.specialeurasia.com/2022/11/07/european-union-caucasus/ ბოლოჯერ ნანახია: 01.03.2024.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
TBILISI
South Caucasus Region

GIP
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

შოთა კაკაბაძე, „წილი ნაყარია: სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკური ცვლილების პირას?“ წესები პარლამენტში“ პოლიტიკის მემორანდუმი #73, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, იანვარი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024
13 ალექსანდრე პუშკინის ქუჩა, 0107 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 599 99 02 12
ელ-ფოსტა: info@gip.ge

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
www.gip.ge